



# მე-13 განყოფილება მარაბეზი

- მოქმედების სფერო
- შეფასება
- თვითღირებულება
- ერთობლივი პროდუქტებისა და თანმდევი პროდუქციის წარმოება
- სხვა დანახარჯები
- სოფლის მეურნეობის პროდუქციის თვითღირებულება
- თვითღირებულების ფორმულები
- მარაგის გაუფასურება
- ხარჯად აღიარება
- განმარტებითი შენიშვნები
- სრულ ფასს-თან შედარება

**მარაგი** - აქტივი რომელიც:

- (ა) გათვალისწინებულია გასაყიდად ჩვეულებრივი სამეურნეო საქმიანობის პროცესში;
- (ბ) მონაწილეობს ამგვარი გაყიდვისათვის გამიზნული მარაგის წარმოების პროცესში; ან
- (გ) წარმოდგენილია ნედლეულისა და მასალების სახით, რომლებიც განკუთვნილია წარმოების პროცესში მოხმარებისათვის ან მომსახურების გასაწევად.

- მაგ. 1** (1). საწარმოს საქმიანობას წარმოადგენს კომერციული ფართებით ვაჭრობა (იგი ყიდულობს კომერციულ ფართებს დროის მოკლე პერიოდში გაყიდვის მიზნით).
- მაგ. 2** (3). მეღვინე თავისი ვენახიდან მიღებული ყურძნით აწარმოებს ბოთლებში ჩამოსხმულ ღვინოს, საბოლოო პროდუქტის მიღებას სჭირდება 3 წელი.
- მაგ. 3** (4). საწარმოს გააჩნია საპოხი მასალები რომელსაც მოიხმარს წარმოების პროცესში გამოყენებული მანქანა-დანადგარები.

# მაგალითი – მოქმედების სფერო

19

**მაგ. 4** (5). საწარმო ფლობს შენობას რომელსაც იყენებს ჩვეულებრივი იჯარით (ქირით) გასაცემად.

**მაგ. 5** საწარმოს საქმიანობას წარმოადგენს შენობების აშენება და რეალიზაცია.

მე-13 განყოფილების მოქმედების სფეროში არ შედის:

- (ა) დაუმთავრებელი მშენებლობა (სამშენებლო ხელშეკრულების შესრულების ფარგლებში) (იხ. 23-ე განყოფილება);
- (ბ) ფინანსური ინსტრუმენტები (იხ. მე-11 და მე-12 განყოფილება); და
- (გ) ბიოლოგიური აქტივები და სოფლის მეურნეობის პროდუქცია ნაყოფის მიღების მომენტში (იხ. 34-ე განყოფილება).

მარაგი ფასდება **უმცირესი** თანხით:

- თვითღირებულებასა და
- შეფასებით გასაყიდ ფასს მინუს პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯები.

მარაგის თვითღირებულება **მოიცავს:**

- შეძენის დანახარტებს;
- გადამუშავების დანახარტებს;
- სხვა დანახარტებს, რომლებიც გაწეულია მის მოცემულ ადგილამდე ტრანსპორტირებისთვის და სათანადო მდგომარეობაში მოსაყვანად.



# შეძენის დანახარჯები

23

**შეძენის დანახარჯი** = შესყიდვის ფასი + საბაჟო მოსაკრებელი + სხვა გადასახადები (**დაუბრუნებადი**) + სხვა პირდაპირი დანახარჯი (სატრანსპორტო, დატვირთვა-გადმოტვირთვა).

შეძენის დანახარჯებში **არ ჩაირთვება**: სავაჭრო დათმობა, სხვადასხვა სახის ფასდათმობები და სხვა ანალოგიური მუხლები.

# მაგალითი – შვიდენის დანახარჯები

**მაგ. 6.** კომპანიამ რომელიც დღგ-ს გადამხდელია შეიძინა საქონელი შემდგომში გასაყიდად. საქონლის ღირებულება დღგ-ს ჩათვლით შეადგენს 11,800 ფე-ს. საქონლის ტრანსპორტირებაზე დაიხარჯა 1,000 ფე, გადმოტვირთვაზე 700 ფე. კომპანია საქონელს ინახავს საწყობში რაზეც თვიურად იხარჯება 9,000 ფე. დავუშვათ რომ თანხები არ მოიცავს დღგ-ს თუ ეს მითითებული არ არის.

**რამდენია მარაგის თვითღირებულება?**

**მარაგის თვითღირებულება = 11,700 ფე (10,000 + 1,000 + 700)**

დ)	მარაგები	11,700
ღ)	ჩასათვლელი დღგ	1,800
კ)	ფულადი სახსრები	13,500

# მაგალითი – შეძენის დანახარჯები

25

**მაგ 7.** (13). საცალოდ მოვაჭრე საქონელს ყიდულობს დადგენილ ფასად, ერთეულს 500 ფე-ად. მომწოდებელი საცალოდ მოვაჭრეს 100 ან მეტი ერთეულის შეძენის შემთხვევაში სთავზობს **20%-იან** ფასდაკლებას. ამასთან თუ კალენდარული წლის განმავლობაში შეიძენს 1,000 ერთეულს ან მეტს, იღებს დამატებით ფასდაკლებას სტანდარტული ფასის **10%-ის** ოდენობით. დამატებითი ფასდაკლება ეხება კალენდარული წლის განვლობაში შეძენილ ყველა ერთეულს.

**01/01/20X1** საწარმომ შეიძინა 800 ერთეული. ხელმძღვანელობა ნაკლებად ვარაუდობდა დამატებით 200 ერთეულის ან მეტის შეძენას.

# მაგალითი – შვიდენის დანახარჯები

26

მაგ 7 (13). (გაგრძელება)

საცალოდ მოვაჭრემ მარაგები თავდაპირველად შეაფასა 320,000 ფედ (ე.ი 800 ერთეული  $\times$  500 ფე  $\times$  80% ).

24/12/20X1 საწარმომ მომწოდებლისგან შეიძინა დამატებით 200 ერთეული. 20X1 წლის 31 დეკემბერს მარაგშია 150 ერთეული.

**რამდენია მარაგის თვითღირებულება?**

**მარაგის თვითღირებულება** = 52,500 ფე (150 ერთეული  $\times$  500 ფე  $\times$  70% )

- ❑ თუ ხელშეკრულება შეიცავს ნაგულისხმევ დაფინანსების ელემენტს - სხვაობა სტანდარტული საკრედიტო პირობებით შესყიდვის ფასსა და გადავადებული ანგარიშსწორების თანხას შორის აღიარდება როგორც **საპროცენტო ხარჯი** დაფინანსების პერიოდის განმავლობაში და **არ დაემატება** მარაგის თვითღირებულებას.

**მაგ 8** (16). საწარმომ შეიძინა გარკვეული სახის მარაგები 2,000,000 ფე-ად, **2-წლიანი** უპროცენტო კრედიტით. იგივე მაღაზიაში იდენტური მარაგების შეძენა შესაძლებელია 1,654,000 ფე-ად, თუ გადახდა განხორციელდება შესყიდვიდან 30 დღის განმავლობაში (*ე.ი. ჩვეულებრივი საკრედიტო პირობები*).

**რამდენია მარაგის თვითღირებულება?**

**მარაგის თვითღირებულება** = 1,654,000 ფე (*ანუ შესყიდვის ფასი, ჩვეულებრივი საკრედიტო პირობების დროს*).

სხვაობა 346,000 ფე (2,000,000 ფე - 1,654,000 ფე) აღიარდება საპროცენტო ხარჯად.

# შეძენის დანახარჯები

მაგ 8 (16). გაგრძელება

შეძენის მომენტში:

დ) მარაგი	1,654,000
კ) ვალდებულება	1,654,000

1-ლი წლის ბოლოს

დ) საპროცენტო ხარჯები*	164,791
კ) ვალდებულება	164,791
$1,654,000 \times 9.963\%$	

\* უკუგების შიდა განაკვეთი 9.963%

# მაგალითი – შვიდენის დანახარჯები

მაგ 8 (16). გაგრძელება

მე-2 წლის ბოლოს		
დ)	საპროცენტო ხარჯები	181,209
კ)	ვალდებულება	181,209
	$(1,654,000 + 164,791) \times 9.9631\%$	
დ)	ვალდებულება	2,000,000
კ)	ფულადი სახსრები	2,000,000



# გადამუშავების დანახარჯები

გადამუშავების დანახარჯები = პირდაპირი დანახარჯები + არაპირდაპირი დანახარჯები (მიკუთვნილებული საწარმოო ზედნადები ხარჯები)

მიკუთვნილებული საწარმოო ზედნადები ხარჯები = მუდმივი ზედნადები ხარჯები + ცვლადი საწარმოო ზედნადები ხარჯები.

# საწარმოო ზედნადები ხარჯების განაწილება

- **მუდმივი** საწარმოო ზედნადები ხარჯების განაწილება ხორციელდება **საშუალო** საწარმოო სიმძლავრის მიხედვით.
- **დაბალი მწარმოებლურობის** ან მოწყობილობების მოცდენის დროს - **საშუალო** საწარმოო სიმძლავრის მიხედვით.
- წარმოების უჩვეულოდ **მაღალი დონის** დროს - საწარმოო სიმძლავრეების **ფაქტობრივი** გამოყენების მიხედვით.

# საწარმოო ზედნადები ხარჯების განაწილება

- **ცვლადი** საწარმოო ზედნადები ხარჯების განაწილება ხდება საწარმოო სიმძლავრეების **ფაქტობრივი** გამოყენების მიხედვით.
- გაუნაწილებელი საწარმოო ზედნადები ხარჯები - აღიარდება იმ პერიოდის ხარჯებად, რომელშიც იქნა გაწეული.

# მაგალითი – საწარმოო ზედნადები ხარჯების განაწილება

**მაგ 9** (20). საწარმოს ერთი თვის მანძილზე წარმოექმნა 900,000 ფე-ის ოდენობის მუდმივი საწარმოო ზედნადები ხარჯები. წარმოების ნორმალურ პირობებში, ერთი თვის განმავლობაში, საწარმო აწარმოებს პროდუქციის 250,000 ერთეულს. საწარმომ თვის განმავლობაში ფაქტიურად აწარმოა 200,000 ერთეული.

**რა ოდენობის ხარჯი მიეკუთვნება ერთ ერთეულს?**

ერთეულზე მისაკუთვნილებელი ხარჯი = 3.6ფე (900,000ფე ÷ 250,000 ერთეულზე)

გაუნაწილებელი მუდმივი საწარმოო ზედნადები ხარჯები 180,000 ფე (900,000 ფე - 200,000 × 3.6 ფე) უნდა აღიარდეს ხარჯის სახით მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში.

# მაგალითი – საწარმოო ზედნადები ხარჯების განაწილება

35

**მაგ 10** (21). პირობები მე-9 მაგალითის იდენტურია. თუმცა, ამ მაგალითში, საწარმომ თვის განმავლობაში აწარმოა 300,000 ერთეული. წარმოების დონე არის ურვეულოდ მაღალი.

**რა ოდენობის ხარჯი მიეკუთვნება ერთ ერთეულს?**

**ერთეულზე მისაკუთვებელი ხარჯი** = 3 ფე (900,000 ფე ÷ 300,000 ერთეულზე).

# ერთობლივი და თანმდევი პროდუქტი

საწარმოო პროცესი შესაძლოა გულისხმობდეს არა ერთი, არამედ რამდენიმე სახეობის პროდუქციის ერთდროულად წარმოებას:

- რამოდენიმე ერთობლივი პროდუქტი, ან
- ძირითადი და თანმდევი პროდუქტი.

საწარმომ ერთობლივი დანახარჯები სხვადასხვა პროდუქციას უნდა მიაკუთვნოს რაიმე **რაციონალური და მუდმივი** მეთოდის საფუძველზე. (მაგ. გასაყიდი ფასი).

თუ თანმდევი პროდუქტი არაარსებითი ხასიათისაა - საწარმომ თანმდევი პროდუქტები უნდა შეაფასოს გასაყიდი ფასიდან მისი დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯების გამოკლებით და მიღებული თანხა გამოაკლოს ძირითადი პროდუქციის თვითღირებულებას.

# მაგალითი - ერთობლივი და თანმდევი პროდუქტი

**მაგ 11** (22). საწარმოო ციკლის საერთო დანახარჯი არის (ე.ი. პირდაპირი დანახარჯისა და ზედნადები ხარჯების ჩათვლით) 100,000 ფე.

თითოეული საწარმოო ციკლის დროს იწარმოება:

- 5,000 ლიტრი პროდუქტი A (გასაყიდი ფასი = 250,000 ფე);  
და
- 1,000 ლიტრი თანმდევი პროდუქტი C (გასაყიდი ფასი = 2,000 ფე).

**რამდენია წარმოებული ერთი ლიტრის ღირებულება?**

წარმოებული A პროდუქტის (ძირითადი პროდუქტი) თითოეული ლიტრის თვითღირებულება არის 19.60 ფე.  
 $(100,000 \text{ ფე} - 2,000 \text{ ფე}) \div 5,000 \text{ ლიტრი}$ .

# მაგალითი – ერთობლივი და თანმდევი პროდუქტი

**მაგ 12** (23). წარმოების საერთო დანახარტები (ე.ი. პირდაპირი დანახარტებისა და ზედნადები ხარტების ჩათვლით) არის 300,000 ფე. იწარმოება ორი ერთობლივი პროდუქტი A და B.

თითოეული საწარმოო ციკლის დროს იწარმოება:

- 5,000 ლიტრი პროდუქტი A (გასაყიდი ფასი = 250,000 ფე); და
- 4,000 ლიტრი პროდუქტი B (გასაყიდი ფასი = 400,000 ფე).

**რამდენია წარმოებული ერთი ლიტრის ღირებულება?**

A პროდუქტი = 23.08 ფე  $((250,000 \text{ ფე} \div 650,000 \text{ ფე} \times 300,000 \text{ ფე}) \div 5,000 \text{ ლიტრი})$

B პროდუქტი = 46.15 ფე  $((400,000 \text{ ფე} \div 650,000 \text{ ფე} \times 300,000 \text{ ფე}) \div 4,000 \text{ ლიტრი})$



# დანახარჯები, რომლებიც არ ჩაირთვება თვითღირებულებაში

თვითღირებულებაში არ ჩაირთვება და **ხარჯად აღიარდება:**

- (ა) ზენორმატიული დანაკარგები;
- (ბ) შენახვის დანახარჯები (გარდა ხარჯებისა რომელიც აუცილებელია საწარმოო პროცესის ერთი სტადიიდან მომდევნო სტადიაზე გადასასვლელად);
- (გ) ზედნადები ადმინისტრაციული ხარჯები; და
- (დ) გაყიდვასთან დაკავშირებული დანახარჯები.

# მაგალითი – დანახარჯები, რომლებიც არ ჩაირთვება თვითღირებულებაში

40

**მაგ 13** (27). საწარმო აწარმოებს ბამბის თეთრეულს. თითოეული წარმოების ციკლის დანახარჯი არის 100,000 ფე ნორმალური დანაკარგის 2,000 ფე-ს ჩათვლით. საოპერაციო კონტროლის შემცირების გამო, მაშინ, როდესაც მესაკუთრე - მენეჯერი არ იმყოფებოდა ქარხანაში, ნედლეულის დანაკარგები თითოეული წარმოების ციკლისთვის გაიზარდა 7,000 ფე-მდე.

**რამდენია მარაგის თვითღირებულება?**

მარაგის თვითღირებულება = 100,000 ფე

ზენორმატიული დანაკარგების დანახარჯი 5,000 ფე (7,000 ფე - 2,000 ფე) არ შედის მარაგების თვითღირებულებაში, არამედ აღიარდება ხარჯის სახით.

# სოფლის მეურნეობის პროდუქციის თვითღირებულება

- ❑ ბიოლოგიური აქტივიდან მიღებული სოფლის მეურნეობის პროდუქცია თავდაპირველი აღიარებისას ფასდება რეალური ღირებულებით, რომელსაც გამოაკლდება ნაყოფის მიღების მომენტში შეფასებული გაყიდვის დანახარჯები (იგი მიიჩნევა თვითღირებულებად).

# თვითღირებულების ფორმულები

ინდივიდუალური დანახარჯების ცალ-ცალკე იდენტიფიკაციით **თუ:**

- ✓ მარაგის ერთეულები არ არის ურთიერთშემცვლელი,
- ✓ მარაგი წარმოებული და განკუთვნილია სპეციფიკური პროექტებისთვის.

თუ მარაგის ერთეულები არის ურთიერთშემცვლელი:

- ✓ „პირველი შემოსავალში - პირველი გასავალში“ (ფიფო); ან
- ✓ საშუალო შეწონილი ღირებულების ფორმულა.

ერთნაირი ფორმულა ყველა მსგავსი ბუნებისა და მსგავსი გამოყენების მარაგისთვის.

აკრძალულია „**ლიფო**“-ს გამოყენება.

# მაგალიტი - თვითღირებულების ფორმულები

**მაგ 14.** ქვემოთ მოცემულია საწარმოს მარაგების მოძრაობა 1 თვის განმავლობაში. მარაგები არის სპეციფიკური დანიშნულების და არ არის წარმოდგენილი ურთიერთშემცვლელი საქონლით.

ოპერაციის სახე	რაოდენობა	ღირებულება (ფე)
შეძენა მარაგი "ა"	1	10,000
შეძენა მარაგი "ბ"	1	15,000
გაყიდვა მარაგი "ბ"	1	?
შეძენა მარაგი "გ"	1	20,000
გაყიდვა მარაგი "ა"	1	?

რამდენია რეალიზებული საქონლის თვითღირებულება?

$$15,000 \text{ ფე} + 10,000 \text{ ფე} = 25,000 \text{ ფე}$$

# თვითღირებულების ფორმულები

**მაგ 15.** მარაგები წარმოდგენილია ურთიერთშემცვლელი საქონლით. საწარმო იყენებს „ფიფო“ მეთოდს.

ოპერაციის სახე	რაოდენობა	ღირებულება (ფე)	ერთ. ღირებულება (ფე)
შეძენა	100	9,000	90
შეძენა	300	28,500	95
გაყიდვა 200 (დარჩა 200 ც)	200		
შეძენა	150	12,750	85
გაყიდვა 100 (დარჩა 250 ც)	100		

**რამდენია რეალიზებული საქონლის თვითღირებულება?**

გაყიდული 200 ერთეულის ღირებულება  
 $(100 \cdot 90) + (100 \cdot 95) = 18,500$  ფე

გაყიდული 100 ერთეულის ღირებულება  
 $100 \cdot 95 = 9,500$  ფე

# მაგალიტი - თვითღირებულების ფორმულები 45

მაგ. 16. მარაგები წარმოდგენილია ურთიერთშემცვლელი საქონლით. საწარმო იყენებს საშუალო შეწონილი ღირებულების მეთოდს.

ოპერაციის სახე	რაოდენობა	ღირებულება (ფე)	ერთ. ღირებულება (ფე)
შეძენა	100	9,000	90
შეძენა	300	28,500	95
<b>ჯამი</b>	<b>400</b>	<b>37,500</b>	<b>93.75</b>
გაყიდვა (დარჩა 200ც)	200	18,750	
შეძენა	150	12,750	85
<b>ჯამი</b>	<b>350</b>	<b>31,500</b>	<b>90</b>
გაყიდვა (დარჩა 250)	100	9,000	

**რამდენია რეალიზებული საქონლის თვითღირებულება?**

გაყიდული 200 ერთეულის ღირებულება

$$200 * 93,75 = 18,750 \text{ ფე}$$

გაყიდული 100 ერთეულის ღირებულება

$$100 * 90 = 9,000 \text{ ფე}$$

- ❑ მარაგის გაუფასურებისა და გაუფასურების კომპენსირების შეფასებისა და აღიარების მოთხოვნები განხილულია 27-ე განყოფილებაში - „აქტივების გაუფასურება“ (იხ. პუნქტები 27.2-27.4).



# ხარჯად აღიარება

მარაგები ხარჯად აღიარდება როდესაც:

- იყიდება, ან
- გაუფასურებულია.

სხვა აქტივების საწარმოებლად გამოყენებული მარაგი ემატება წარმოებული აქტივის თვითღირებულებას.

# მაგალითი – ხარჯად აღიარება

48

**მაგ 17** (42). 20X5 წლის 14 დეკემბერს დანადგარის მწარმოებელმა საწარმომ მომხმარებელზე გაყიდა დანადგარი 8,000 ფე-ად ნაღდი ფულით. დანადგარის თვითღირებულება იყო 5,500 ფე. საკუთრებასთან დაკავშირებული რისკები და სარგებელი გადაეცა შემსყიდველს.

20X5 წლის 14 დეკემბერი:

დ)	ფულადი სახსრები	8,000 ფე	
კ)	ამონაგები		8,000 ფე
დ)	რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	5,500 ფე	
კ)	მარაგები		5,500 ფე

# განმარტებითი შენიშვნები

საწარმომ უნდა გაამჟღავნოს შემდეგი ინფორმაცია:

- (ა) სააღრიცხვო პოლიტიკა, მათ შორის, თვითღირებულებისათვის გამოყენებული ფორმულა;
- (ბ) მარაგების საბალანსო ღირებულება აგრეგირებულად და შესაფერისი საკლასიფიკაციო ჯგუფების მიხედვით;
- (გ) მიმდინარე პერიოდის ხარჯად აღიარებული მარაგის თვითღირებულება;
- (დ) აღიარებული გაუფასურების ზარალი, ან აღდგენილი გაუფასურების ზარალი;
- (ე) ვალდებულებების უზრუნველყოფად გირაოში ჩადებული მარაგების საბალანსო ღირებულება აგრეგირებულად.

# შეღარება სრულ ფასს-თან

50

- უფრო ადვილი ენით არის გადმოცემული, მოიცავს ნაკლებ მითითებებს აღრიცხვის პრინციპების გამოსაყენებლად.
- სესხით სარგებლობის დანახარჯები:
  - ✓ მსს ფასს-ით ხარჯად აღიარდება.
  - ✓ სრული ფასს-ით ჩაირთვება განსაკუთრებული აქტივის თვითღირებულებაში.